Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

599355527

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 1511/09 D 26. 03. 13

შპს "წყარო"-ს დირექტორს
ქ-ონ ლეილა გორგონძიას

კომპანიამ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი წერილი, №1519/06 დათარიღებული 18.03.13 წ. რომელშიც აღნიშნავთ რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მარშალ გელოვანის გამზირის და გაგარინის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ შპს "წყარო"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.10.11.001.042, 01.10.11.001.041, 01.10.11.001.044) რომელზეც გაედინება კომპანიის "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" კუთვნილი ორი მაგისტრალი განთავსებულია დროებითი მოძველებული ნაგებობები, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მოითხოვს რეკონსტრუქცია-განახლებას. გამომდინარე აქედან ითხოვთ კომპანიის მხრიდან თანხმობას თბილისის მთავარი არქიტექტურული დაგეგმარების სამმართველოში წარსადგენად.

წერილში ასევე აღნიშნავთ რომ "თბილწყალკანალი"-ს 01.03.202 წლის №923/1-19 ტექნიკური პირობის თანახმად ხის შენობები თქვენს მიერ განთავსებულია მილის ორივე მხარეს, 5 მეტრიანი სანიტარული ზოლის გარეთ.

გაცნობებთ, რომ სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება დასაშვებია წყალდენის ორივე მხარეს 5 მეტრიანი სანიტარული ზოლის გარეთ. სანიტარულ ზოლში დაუშვებელია მრავალწლიანი ნარგავების არსებობა და დარგვა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების და შენობის ექსპლუატაციის პირობებში უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ქმედება, რამაც შეიძლება დააზიანოს წყალსადენის მაგისტრალები ან მაგისტრალების დაზიანების შემთხვევაში შეაფერხოს მათი ოპერატიული აღდგენა.

აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას მაგისტრალებთან მანქანა-მექანიზმების და საავარიო ბრიგადის წევრების შეუფერხებელი მისვლა დღეღამის ნებისმიერ პერიოდში.

გაცნობებთ რომ მაგისტრალების სანიტარული ზონის მიმდებარე ტერიტორია არის გაზრდილი რისკის ზონა რის გამოც მათი დაზიანების შედეგად ობიექტისათვის მიყენებულ მატერიალურ ზარალზე ან სხვა ნეგატიურ მოვლენებზე შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" პასუხს არ აგებს.

ობიექტის რეკონსტრუქციის პროექტი საჭიროა შეთანხმდეს შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-თან.

ომარ გოცირიძე
ტექნიკური დირექტორის მოადგილე

Generated by Foxit PDF Creator © Foxit Software
http://www.foxitsoftware.com For evaluation only.

002198